შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

OFFICE OF THE STATE MINISTER OF GEORGIA
FOR RECONCILIATION AND CIVIC EQUALITY

N 850
09/07/2020

850-1-2-202007091907

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამილა ბარკალაიას

ქალბატონო თამილა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინირებას უწევს ეთნიკური უმცირესობების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, განხორციელებასა და ანგარიშგებას. ამასთანავე, ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის №122 დადგენილებით, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით დამტკიცებული სამთავრობო კომისიის საქმიანობას.

მიმდინარე სტრატეგიას წელს ვადა ეწურება. სახელმწიფო მინისტრის აპარატი, შესაბამისი ექსპერტის, სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, იწყებს ახალ სტრატეგიულ დოკუმენტზე მუშაობას. აქედან გამომდინარე, 16-19 ივლისს ქ. ბათუმში იგეგმება სამთავრობო კომისიის გასვლითი, გაფართოებული სამუშაო სხდომის გამართვა, რომელზეც განხორციელდება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელწიფო პოლიტიკის ახალი სტრატეგიული პრიორიტეტების, მიმართულებების, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, დარგობრივი სამინისტროების ამოცანების იდენტიფიცირება.

გთხოვთ, პირადად ჩაერთოთ კომისიის გასვლით სხდომაში და ამავდროულად წარმოგვიდგინოთ, შესაბამისი კომპეტენციის მქონე კანდიდატურა, რომელიც ჩაერთვება სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესში და ქ. ბათუმში დაგეგმილ სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში.

შეხვედრასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებული იქნება ორგანიზატორების მიერ.

იხ. დღის წესრიგი

დანართი: 3 (სამი) გვერდი.

პატივისცემით,

0134 თბილისი, ინგოროყვას ქ. 7 0134 Tbilisi, Ingorokva str. 7 ტელ./Tel.: (995 32) 292 18 91, ფაქსი/Fax: 292 16 50

ლია გიგაური

სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმძღვანელობა